№118
18 აგვისტო, 2020 წელი

ქ. ბაღდათს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ გოგსაძეს,
არასამთავრობო ორგანიზაციის
სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბის „თაობათა დიალოგი“
გენერალური მდივნის
ეკატერინე მარუქაშვილის

განცხადება

ბატონო არჩილ,

როგორც მოგეხსენებათ, არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ (RICDOG) ქ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავა პროექტი **სსიპ - ახალგაზრდული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ მილიონიანი ფონდის** საგრანტო კონკურსზე, სადაც პროექტის განხორციელების არეალად მოისაზრა ბაღდათის მუნიციპალიტეტი.

პროექტის ძირითადი მიზანია შეიქნას ახალგაზრდული სივრცე, რომელიც ორიენტირებული იქნება ახალგაზრდების პიროვნული უნარ-ჩვევების გაზრდაზე და მოიცავს მათ სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიურად ჩართვის კუთხით სამუშაოებს.

გაცნობებთ რომ აღნიშნული პროექტი დაფინანსდა **სსიპ - ახალგაზრდული სააგენტოს მიერ,** თანდართულ ფაილად წარმოგიდგენთ ოფიციალურ წერილს სააგენტოდან.

მოგმართავთ თხოვნით, ზემოთ აღნიშნული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, მოხდეს მემორანდუმის გაფორმება ბაღდათს მუნიციპალიტეტის მერიასა და ა/ო სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბის „თაობათა დიალოგი“ შორის შემდგომი თანამშრომლობის მიზნით.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,
ეკატერინე მარუქაშვილი
გენერალური მდივანი
სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“

18.048 2020